



სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

განცხადება №2

5 იანვარი, 2008წ.

14:00 საათი

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების 14:00 საათისთვის არსებული ინფორმაციით, საარჩევნო პროცესი მიმდინარეობს დაძაბულ გარემოში. ორგანიზაციის დამკვირვებლების მიერ დაფიქსირდა შემდეგი სახის დარღვევები:

დამკვირვებლების საარჩევნო უბნებზე არდაშვება

№25 წაღკის საარჩევნო ოლქის №22 უბანზე “სამართლიანი არჩევნების” და სხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციების დამკვირვებლებს იძულებით დაატოვებინეს უბანი, რის გამოც მათ არ აქვთ შესაძლებლობა განახორციელონ სადამკვირვებლო მისია. ცესკო-სთან დაკავშირების შემდეგ, “სამართლიანი არჩევნების” დამკვირვებელი შეუშვეს უბანზე, თუმცა სხვა დამკვირვებლებს არ მიეცათ შესაძლებლობა განხორციელებინათ სადამკვირვებლო მისია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ფიქრია საღიბოვმა, საბოლოოდ მაინც დაატოვებინა უბანი “სამართლიანი არჩევნების” დამკვირვებელს, უფრო მეტიც, ადგილობრივი პოლიციის განყოფილების უფროსი იური მოდუბაძე დაემუქრა დამკვირვებელს ფიზიკური ანგარიშსწორებით, თუ კი ის არ შეწყვეტდა უბანზე შეღწევის მცდელობას. პრობლემა ამ წუთამდე მოუგვარებელია და ორგანიზაციას ხელი ეშლება მიუკერძოებელი სადამკვირვებლო მისიის განხორციელებაში, მიუხედავად იმისა, რომ ცესკო-ს დროულად ეცნობა ინფორმაცია ამ დარღვევის შესახებ.

“სამართლიანი არჩევნების” დამკვირვებლები ასევე არ შეუშვეს №59 ქუთაისის საარჩევნო ოლქის №72 საარჩევნო უბანზე და №70 ფოთის საარჩევნო ოლქის №6

უბნებზე. საარჩევნო კომისიის წევრების განმარტებით, დამკვირვებელს უბანზე შესვლის უფლება აქვს მხოლოდ 8:00 საათის შემდეგ. ასეთივე დარღვევები დაფიქსირდა №67 ზუგდიდის საარჩევნო ოლქის №35 და №68, №81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის №6 (სამხედრო) და №79 ბათუმის საარჩევნო ოლქის №5 და №54 უბნებზე. მხოლოდ ორგანიზაციის იურისტების ჩარევის შემდეგ დაუშვეს დამკვირვებლები ზემოთხსენებულ უბნებზე.

პროცედურული დარღვევები საარჩევნო უბნებზე

№44 ამბროლაურის საარჩევნო ოლქის №33, №34 უბნებზე, ასევე №59 ქუთაისის საარჩევნო ოლქის №45 და №84 უბნებზე ჯერ კიდევ 10 საათისთვის არ იყო გამოკრული სადემონსტრაციო ოქმები, ასევე ბიულეტენების ნიმუშები და ხმის მიცემის პროცედურის ინსტრუქციები. როგორც განმარტეს, აღნიშნული ინსტრუქციები საარჩევნო ოლქებს არ ჰქონდათ გადაცემული უბნებისთვის. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის უბნებზე არსებული დოკუმენტაცია (ინსტრუქციების გარდა) უკვე გამოკრულია, შესაბამისად, სადემონსტრაციო ოქმებიც შევსებულია. სადემონსტრაციო ოქმი ასევე არ იყო გამოკრული №79 ბათუმის საარჩევნო ოლქის №30 და №71 უბნის გახსნისას. იმავე ოლქის №75 საუბნო საარჩევნო კომისიის მტკიცებით კი, მათ სადემონსტრაციო ოქმები საერთოდ არ მიუღიათ. №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის №11 უბანზე სადემონსტრაციო ოქმი გამოიკრა დაგვიანებით – მხოლოდ მას შემდეგ, რაც “სამართლიანი არჩევნების” დამკვირვებელმა შენიშვნა მისცა საუბნო კომისიის წევრებს. შევსებული ბიულეტენების ნიმუშები ასევე არ არის გამოკრული №14 დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქის №5 უბანზე.

№24 დმანისის საარჩევნო ოლქის №22 უბანს არ მიუღია განსხვავებული ზომისა და შეფერილობის კონვერტები. საოლქო საარჩევნო კომისია ცდილობს, მიაწოდოს კონვერტები აღნიშნულ უბანს, თუმცა უამინდობის გამო ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

№52 ბაღდათის საარჩევნო ოლქის №2 უბანზე გაფუჭდა მარკირების შესამოწმებელი აპარატი. თუმცა “სამართლიანი არჩევნების” დამკვირვებლის მითითების მიუხედავად, ხმის მიცემა მაინც გრძელდებოდა მარკირების შემოწმების გარეშე ნახევარი საათის განმავლობაში. ამ დროისთვის, ზემოთხსენებულ უბანზე უკვე არსებობს მარკირების შესამოწმებელი ახალი აპარატი. №79 ბათუმის საარჩევნო ოლქის №30 და №80 ქედის საარჩევნო ოლქის №18 უბნებზე შეფერხდა ხმის მიცემის პროცედურა იმავე მიზეზით – გაფუჭდა მარკირების აპარატი. ამ დროისათვის პრობლემა გადაჭრილია – საარჩევნო ოლქებმა მიაწოდეს მარკირების ახალი აპარატები შესაბამის უბნებს. №12 გურჯაანის საარჩევნო ოლქის №48 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მხრიდან ადგილი ჰქონდა მცდელობას, ამომრჩეველთათვის ხმის მიცემის უფლება მიეცათ მარკირების გარეშე. თუმცა “სამართლიანი არჩევნების” დამკვირვებლის მითითებით, მსგავსი მცდელობა აღარ განმეორებულა.

№60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქის №55 უბანზე “სამართლიანი არჩევნების” დამკვირვებელმა დაწერა საჩივარი, რადგან საკონტროლო ბიულეტენი ჩაგდება განხორციელდა საარჩევნო ყუთის დალუქვამდე.

№15 ლაგოდეხის საარჩევნო ოლქის №18 და №19 უბნებზე წილისყრა 7:00 საათზე უკვე დასრულებული იყო.

№17 თელავის საარჩევნო ოლქის №37, №38 და №39 უბნებზე მიღება-ჩაბარების აქტებში არ იყო დაფიქსირებული მიღებული ბიულეტენების რაოდენობა. ამავე ოლქის №39 უბანზე კენჭისყრა მიმდინარეობა 2 ოთახში – სარეგისტრაციო მაგიდები და საარჩევნო ყუთი განთავსებულია ერთმანეთისგან განცალკევებით სხვადასხვა ოთახებში. №49 შუახვევის საარჩევნო ოლქის №46 უბანზე არ არსებობს ბიულეტენების მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო №9 ნაძალადევის საარჩევნო ოლქის №94 საარჩევნო უბანზე მიღება-ჩაბარების აქტში არ არის მითითებული მიღებული ბიულეტენების რაოდენობა.

ამომრჩეველთა სიები

№59 ქუთაისის საარჩევნო ოლქის №95 უბანზე არ მუშაობს ქსეროქსის აპარატი, რის გამოც ამომრჩეველთა ერთიან სიაში არ მყოფ ამომრჩევლებს არ ეძლევათ საშუალება, ხმა მისცენ დამატებითი სიის საშუალებით. №60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქის №14 უბანზე დამატებითი სიის ფორმის არ ქონის გამო, შეფერხდა ამომრჩევლების მიერ დამატებითი სიების საშუალებით ხმის მიცემის პროცესი.

№79 საარჩევნო ოლქის №4 უბანზე საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები შეცდომით არიან შეყვანილნი ერთიან ამომრჩეველთა სიაში მათი დისლოკაციის ადგილის მიხედვით. ასეთივე დარღვევა დაფიქსირდა №1 მთაწმინდის ოლქის №8 უბანზე, სადაც დაცვის პოლიციის თანამშრომლები ხმას აძლევენ ერთიან ამომრჩეველთა სიის საშუალებით, თუმცა მათი საცხოვრებელი ადგილი არ შედის აღნიშნული უბნის საზღვრებში. ცესკო-ს განმარტებით, ეს პროცედურა მიმდინარეობს საარჩევნო კოდექსის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც, ერთიანი სიაში შედიან პოლიციის ის თანამშრომლები, რომელთა სამსახურებრივი პირობები მოითხოვს მათ ცხოვრებას მუდმივი საცხოვრებელი ადგილისგან განსხვავებულ მისამართზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ხსენებულ შემთხვევაში დაცვის თანამშრომლები რეგისტრირებულნი არიან თბილისის სხვა ოლქების ტერიტორიაზე და მათ ხმის მიცემა შეეძლოთ რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

№56 ჭიათურის საარჩევნო ოლქის №1 უბანზე დღეს დილით მიიტანეს პოლიციის თანამშრომლების ერთიანი სიის ხელნაწერი ვერსია.

№7 ჩუღურეთის საარჩევნო ოლქის №27 უბანზე 14 ამომრჩეველი დაემატა სპეციალურ სიაში არჩევნების დღეს. ამასთან სპეციალური სია გამოკრულია კენჭისყრის ოთახისგან განცალკავებით.

ხმის მიცემისთვის საჭირო დოკუმენტაცია

№67 ზუგდიდის საარჩევნო ოლქის №8 უბანზე იძულებით გადაადგილებული პირები ხმას აძლევენ დამატებითი სიის მეშვეობით მხოლოდ პირადობის მოწმობის საფუძველზე, დევნილის მოწმობის წარდგენის გარეშე.

№59 ქუთაისის საარჩევნო ოლქის №53 უბანზე დაფიქსირდა ფაქტები, როდესაც ამომრჩევლებს მიეცათ უფლება, მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში მიუხედავად იმისა,

რომ მათი პირადობის მოწმობის მონაცემები არ ემთხვეოდა ამომრჩეველთა სიაში არსებულ მონაცემებს.

№79 საარჩევნო ოლქის №42 უბანზე ამომრჩეველები ხმას აძლევდნენ ვადაგასული პირადობის მოწმობების წარდგენის საფუძველზე. “სამართლიანი არჩევნების” დამკვირვებლის მიერ შენიშვნის მიცემის შემდგომ, ეს დარღვევა აღმოიფხვრა.

სხვადასხვა

№79 ბათუმის საარჩევნო ოლქის №2 უბნიდან 50 ბიულეტენი გადაიტანეს №75 უბანზე იმ მიზეზით, თითქოს ამ უკანასკნელ უბანში არ ჰქონდათ საკმარისი რაოდენობის ბიულეტენები. “სამართლიანი არჩევნების” დამკვირვებელმა უკვე დაწერა შესაბამისი საჩივარი.

№22 მარნეულის საარჩევნო ოლქის №40 უბანზე აღინიშნა სერიოზული სახის დარღვევები. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები არ ახდენენ ამომრჩეველთა მარკირებას და უმეტეს შემთხვევაში არც მარკირების შემოწმებას. “სამართლიანი არჩევნების” დამკვირვებელმა უბანში დააფიქსირა ნაციონალური მოძრაობის ორი აქტივისტი, რომელთაგან ერთი არეულობებს ამომრჩეველთა ნაკადს უბანზე, ხოლო, მეორე აქტივისტი დგას საარჩევნო კაბინასთან იმ მოტივით, რომ ამომრჩეველებმა არ იციან წერა-კითხვა და საჭიროებენ ბიულეტენის შევსებისას დახმარებას. აღნიშნული აქტივისტები ასევე აქტიურ აგიტაციას ეწეოდნენ უბანში პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის სასარგებლოდ. გარდა ამისა, დაფიქსირდა ერთი და იგივე ამომრჩეველის მიერ ხმის რამდენჯერმე მიცემის ფაქტები. დამკვირვებელმა შენიშნა, რომ ამომრჩეველებს ხშირ შემთხვევაში აქვთ ორი ან მეტი პირადობის მოწმობები და მათი საშუალებით, განმეორებით აძლევენ ხმას. ანალოგიური სიტუაცია დაფიქსირდა №22 მარნეულის საარჩევნო ოლქის №30 უბანზე.

№ 17 თელავის საარჩევნო ოლქის № 1 საარჩევნო უბანზე, გაურკვეველი ვინაობის პირი შეიჭრა უბნის ტერიტორიაზე და საარჩევნო ყუთში ჩაყარა ბიულეტენები. აღნიშნული ფაქტის შედეგად მოხდა ზემოთხსენებული უბნის დახურვა.

აღსანიშნავია № 3 საბურთალოს საარჩევნო ოლქის № 80 საარჩევნო უბანი, სადაც მარკირება გავლილი ამომრჩეველები, ცდილობენ კვლავ მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრის პროცესში. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული ამომრჩეველები ერთი ავტობუსით არიან მისულები.

აღსანიშნავია № 37 ახალციხის საარჩევნო ოლქის № 13 საარჩევნო უბანი, სადაც ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებმა შექმნეს ე.წ. ”კორდონი” და საარჩევნო ყუთში ჩაყარეს ბიულეტენები. ასევე, “სამართლიანი არჩევნების” დამკვირვებელს არ მიეცა საშუალება დაეწერა საჩივარი.

ამომრჩეველთა აქტივობა

წარმოგიდგინო ამომრჩეველთა აქტივობას 12:00 საათისთვის

ცესკო-ს ოფიციალური მონაცემებით - 13.4%

“სამართლიანი არჩევნების” მონაცემებით - 13.0%

დამატებითი სიების საშუალებით, ამ დროისათვის ხმა მისცა რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 0.8%-მა.